



# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### დაბა ქედა



N 13  
04/02/2019

13-04-4-201902041723



### ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის 13-ე მუხლის 11 პუნქტის, „გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №6 დადგენილების მე-3 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო განისაზღვროს 12 (თორმეტი) წევრის შემადგენლობით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) მზია ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

დ) ჰამიდა ზოიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;

ე) ზაზა დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში;

ვ) თეა შარაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში;

ზ) მაგდა მახარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში;

თ) ინდირა გორგაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში;

ი) თინა თეზიძე - აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს ქედის განყოფილების უფროსი;

კ) მადონა ფალავანდიშვილი - ა(ა)იპ ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრის თანამშრომელი.

ლ) გიორგი სურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი.

მ) მამია გვარიშვილი - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 15 მარტის №34 ბრძანება.

4. ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე